ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 29 მაისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 22 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

4. სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. ხასია - გამომსვლელი დაინტერესდა ფიქრობდნენ თუ არა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მიმართულებით, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის სერვისზე? ასევე იკითხა თუ როდისთვის მოწესრიგდებოდა ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია?

დ. ბერაია, ა. ვარდია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ მათი მონაცემებით, იყო ზონები სადაც მგზავრთა სიმცირე აღინიშნებოდა, გამომდინარე აქედან მუნიციპალური ტრანსპორტის დაყენება ამ ეტაპისთვის საჭიროდ არ ჩაითვალა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის დაყენებაზე უფრო ადრე მოსაწესრიგებელი იყო, ქალაქის ცენტრში არსებული ქაოსი, იგულისხმებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეცტექნიკისა და სხვადასხვა ტექნიკის განთავსება ქალაქის ცენტრში. აუცილებლად მოსაწყობი იყო საქმიანი ეზო (საწყობი), სადაც განთავსდებოდა სპეცტექნიკა. რაც შეეხებოდა ავტოსადგურის მიმდებარე

ტერიტორიაზე გზების და ტერიტორიის მოწესრიგებას, როგორც კი მე-3 ეტაპი დასრულდებოდა პარკის მშენებლობის, ის მე-4 ეტაპატ იყო განსაზღრული და შესაბამისად მოწესრიგდებოდა.

დ. ბუკია - მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განმარტა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი სოფლების მიხედვით მინიმუმ 4-5 მიმართულებით უნდა განისაზღვროს მინიმუმ 2-2 ავტობუსით, რომელის 8 ავტობუსს შეადგენდა და მათ სჭირდებოდათ შესაბამისი ავტოპარკი, რომელიც, ამ ეტაპისთვის არ გააჩნდათ, ასევე საჭირო იყო მძღოლების დაქირავება, რომელსაც შესაბამისი ხელფასი სჭირდებოდათ, ასევე სჭირდებოდა სამრეცხაო და შესაბამისი ინფრასტრუქტურა პერსონალთან ერთად, რომლის საშუალებაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა და ამ ეტაპისთვის, როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოჩნდებოდა შესაბამისი თანხები აღნიშნულის განხორციელებაც იქნებოდა შესაძლებელი.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დადეგმარების კომისიის თავმჯდომარეს ბ. მამაცაშვილს წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტში ავტოსადგური საზოგადოებრივ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს და უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიაზე რაც შეიძლება სწრაფი, უსაფრთხო და მოსახერხებელი გადაადგილება. ავტოსადგურის შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვა ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა პირის ადაპტირებას გარემოსთან, თავის მხრივ ავტოსადგურის გამართული ფუნქციონირება ასახვას პოვებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებზე. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთი ავტოსადგურის განთავსება ქალაქ ხობში. რაც შეეხება ადმინისტრაციული ერთეულებიდან სხვა მუნიციპალიტეტებში გამავალი ტრანსპორტის ავტოსადგურიდან გასვლას (ზუგდიდი, სენაკი, ფოთი), განისაზღვრა 13 სოფელი, სადაც არაა სავალდებულო ავტოსადგურიდან რეისის გასვლა:

1. ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ზუბი;
2. ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი გაშფერდი;
3. ახალსოფელის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ახალსოფელი;
4. ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი საალანიო - საფაჩულიო;

5. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი თორსა;
6. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი პატარა ფოთი;
7. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული- სოფელი საკვიკვინიო;
8. საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი საგვიჩიო;
9. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ზენი;
10. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ბულიში;
11. ყულევის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ყულევი;
12. შავღელეს ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი შავღელე;
13. ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ძველი ხიბულა.

გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ლ. ლიპარტიას წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით მომზადებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში), ასევე ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 16398,7 ათასი ლარის და ასევე საგასავლო ნაწილში 16398,7 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 28742,4 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 30059,99 ათასი ლარი. 10832,7 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება პირველი მაისის მკვიდრის სპარტაკ ბუკიას სახელის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის მინიჭების თაობაზე. მერიის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ სპარტაკ ბუკია პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებითა და კეთილშობილებით. 1989 წლიდან აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1996 წლიდან მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში ექსპერტ-კონსულტანტის პოზიციაზე, ხოლო 1997 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში. 2000-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში სხვადასხვა პოზიციებზე. ს. ბუკიას ქველმოქმედების შესახებ ცნობილია არამარტო საახლობლოსა და სამეგობროსთვის, არამედ ძალიან ბევრი უცნობი ადამიანებიც საუბრობენ მის მიერ უანგაროდ გაღებული სიკეთის თაობაზე. სპარტაკ ბუკიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ ს. ბუკიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე, გ. ქაჯაია, დ. ხასია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ მიესალმებიან სოფელ ბულიწყუში შოთა რუსთაველის ქუჩის პირველი შესახვევისთვის სპარტაკ ბუკიას სახელის მინიჭებას. აღნიშნეს, რომ სპარტაკ ბუკიას არაერთი საქველმოქმედო და კეთილი საქმე გაუკეთებია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

4. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სთხოვა გაძღოლოდა სხდომას და თვითონ გადაინაცვლა ტრიბუნასთან

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ის განცხადებას აკეთებდა, როგორც ქალაქის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი და ისაუბრა ქალაქის ცენტრში ავტობუსების და სპეცტექნიკის განთავსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა დროულად იყო მოსაგვარებელი. ასევე ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსებასთან, ზებრა გადასასვლელების მოწყობასთან დაკავშირებით, რომელიც დროულად იყო მოსაწესრიგებელი. გამომსვლელმა ასევე განაცხადა, რომ 2021 წელს საკრებულოს გადაწყვეტილებით ხობის ცენტრალურ სტადიონს მიენიჭა პაატა თათარიშვილის სახელი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვოდა ხობის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების საქმეში, თუმცა რემდე მუნიციპალიეტის მერიის მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი ცენტალურ სატდიონზე შესაბამისი წარწერის განთავსება და მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს დროულად აღმოფხრილიყო არსებული ხარვეზი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. ბექა ხარბედია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ლელა ადანაია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. ქეთევან კვირიკაშვილი
21. ბესიკ თამლიანი
22. დიტო ხასია